საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA


N 3143/01
25/03/2020

3143-01-2-202003251437

სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 27 თებერვლის №22/1431 წერილი, რომელიც ეხება ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფ. ოკამის მიმდებარე ტერიტორიაზე, 775260 $მ^3$ მოცულობის ვულკანური წიდის მოპოვების საკითხს.

გაცნობებთ, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I დანართის 26-ე პუნქტის შესაბამისად, წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვება, როდესაც მოპოვების ადგილის ზედაპირი 25 ჰექტარზე მეტია ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

ვინაიდან, თქვენ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, მოპოვების ადგილის ზედაპირის ფართობი აღემატება 25 ჰექტარს (258420 კვ.მ), ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით სამინისტროში წარმოადგინოს სკოპინგის განცხადება სკოპინგის ანგარიშთან ერთად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტრო წყვეტს თქვენი განცხადების საფუძველზე სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე


0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044